საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კარაბადინი



კარაბადინი XI ს.

კარაბადინი, სამკურნალო წიგნების საერთო სახელწოდება ძველ საქართველოში. ძირითადად განკუთვნილი იყო პრაქტიკოსი ექიმებისთვის, საოჯახო კარაბადინი – არაექიმთათვის, მოკლე კარაბადინი კი თანამედროვე ცნობარივით გამოიყენებოდა. საქართველოში დღემდე შესწავლილი და გამოცემულია ქანანელის „უსწორო - კარაბადინი" (XI ს.), ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმო" (XII ს.), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი" (XV ს.), დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი", ი. ბაგრატიონის „წიგნი სიმართლისა და აქიმობის", აგრეთვე პ. კლაპიტონიშვილის „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება ადვილად წამლობისთვს მრავალთა გვართა შინაგანთა და გარეგანთა სნეულებათა" და „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება მისთვის, თუ ვითარი ღონისძიება და შემწეობა მოიხმარონ კაცთათვის ჟამთა უეცრად ჩავარდნისა და სასიკვდილოსა მდგომარეობისა შინა" (ორივე XIX ს.) და სხვ.

კ-ში მოცემულია ზოგადი საექიმო პრინციპები, აღწერილია სხვადასხვა დაავადება, მათი მკურნალობისა და სამკურნ. საშუალებათა დახასიათება. განმარტებულია სანიტ., ფიზიოლ., ბიოლ., ფარმაკოლ., ჰიგიენური და სხვა ცნებები.